

# საქართველო



# რეპუბლიკა

ნათარქობის წინაშე, უფლებადილითა გაზეთი  
(საქართველო და არა თვითმართებულნი)  
**საქართველოს რესპუბლიკა**  
მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის, გაზეთი  
მორის 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. გან-  
ცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. მე 4  
გვერდზე 3 მ. სამგლოფიანო განცხადება ჩვეულებრივ, ზომისა 80 მ.  
1 ინანო. გაზ. ნისიოდ არავის გავეზავებთ. რედაქციის კანტორის მისა-  
მართი: ტფილისი, მარტის ქუჩა № 6. ტელეფონის 1-82.

**სახელმწიფო თვატრი**  
პარსკაპი, მარტის 5, **ქეთო და კოტე**.  
„ქეთო“, კვირას, მარტის 7, დილით „ევეგენი ონეგინი“. საღამოს ა. დემიანენკოს ბენეფისი 1.  
„ქანონა“, 2. „ბორის გოდუნოვი“. მხადღება დასადგმელად ოპერა „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“,  
ორშაბათს, მარტის 8, რეჟისორ ბელსკის 40 წლია იუბილე ნინო კოშტიცის მესამე გასტრო-  
ლი „პიკის ქალი“. 267

**ვ. მ. კვიციანი-კავკასიური სავაჭრო ბანკის საბჭო**  
ამით აცხადებს, რომ ქ. ტფილისში, რუსთაველის პრ., № 17, არამიანციის სახლში, ამა  
წლის 14 მარტს, ნ. შუბლიცის 1-სათხე დანიშნულია ბანკის აქციონერთა საზოგადო წლი-  
ური კრება. დღის წესრიგი: 1) 1919 წლის ანგარიშის დამტკიცება, 2) 1919 წლის მოგების  
განაწილება, 3) 1920 წლის ბიუჯეტის დამტკიცება, 4) არჩევნები: ა) ბანკის სამსახურის წევრ-  
ებისა, ბ) გამგეობის წევრისა, თანხაზე წესდების 35 წუთისა, გ) სარევიზიო კომისიისა.  
5) ბანკის ძირითადი თ. ნისი გადღება, 6) ბანკის განყოფილებების და სააგენტოების განხილ-  
ვა, 7) ბანკის სპორტების თვის უძრავი ქონების შეფენა, 8) შეცვლა და შეფენა ბანკის წესდებ-  
ისა. 9) მიმდინარე საქითხები.  
250 12-1  
ევროპ. ულ. კავკასიური სავაჭრო ბანკის საბჭო

**საქართველო. კორპორაციული განხილვის სავაჭრო-საბანკო კომპანია**  
აქციონერების კრებას, რომ ამა წლის 14 მარტს, ქ. ტფილისში, ცენტრალურ კოლონ-  
იარულ კავშირის შენობაში (კოლონიალის ქ., № 15), დილის 10 საათზე დანიშნულია სა-  
ქართველოს კორპორაციული განხილვის პირველი საზოგადო კრება. დღის წესრიგი:  
1. მოხსენება სარევიზიო კომისიისა, 2. სააქციონერო თანხის გადიდება, 3. წესდებ-  
ისა 49 წუთისა, 4. ბიუჯეტის დამტკიცება და დამტკიცება, 5. გამგეობის და  
სამსახურის არჩევნები, 6. მიმდინარე საქითხები. წესდების 49-50 მუხ. ძალით უფელ კოლონ-  
იარულ დაწესებულებას, რომელსაც აქვს ორი აქცია, უფლება აქვს დაესწროს საზოგადო  
კრებას გადამწვეტი ხმის უფლებით, ბანკის აქციონერთა შედეგით ხმის უფლება გადას-  
ცემს სხვა აქციონერებს, რომელთაც არავის არ უფლება ორზე მეტი რაჟონება იქონი-  
ოს. რაჟონება ხმის უფლების გადაცემის შესახებ ეძლევა წერილის ფორმით, რომელიც უნ-  
და წარმოადგინოს იქნეს სამი დღით ადრე საზოგადო კრებამდე.  
სარევიზიო კომისიის წევრები: აქციონერთა უმრავლესობის კორპორაციული განხილვისათ-  
ვის უნდა წარმოადგინოს სია ამ კორპორაციული განხილვის დღის წინ საზოგადო კრებამდე.  
უფელ შეიძლება სია უნდა წარმოადგინოს იქნეს 15 მარტს მაინც.  
საქართველოს კორპორაციული განხილვისათვის კომიტეტის პრეზიდიუმი.

**ქართველ მემკვიდრეთა ახსანაგობა**  
„განთიადი“ ამით აუწყებს პაის პატრონებს, რომ კვირას 1920 წ. მარტის 21-ს, დილის 12  
სათხე კერძო ლონდონის ბანკზე დანიშნულია პაის პატრონთა ჩვეულებრივი საზოგადო  
კრება. დღის წესრიგი: 1918/19 წლ. ბიუჯეტის დამტკიცება და დამტკიცება. 2. გამ-  
გეობის წევრის არჩევა. 3. სარევიზიო კომისიის 5 წევრის არჩევა. მიმდინარე საქითხები.  
2-1 413

## ოფიციალური განცხადება

### საქართველოს სასახლე. დამატება № 2.

№ რაიონი	თანამდებობის სახელწოდება.	თანამდებობის პირობები	თვითნებური		
			ჯამაგირი თითოს.	წლიური ჯამაგირი თითოს.	წლიური ჯამაგირი ყველას.
<b>3. ტფილისის სასახლე.</b>					
1	სასახლის შედარებითი	1	3000	36000	36000
2	მისი თანამდებობა	1	2500	30000	30000
3	ბიუჯეტური	1	2500	30000	30000
4	შეიკრიბი, კარის-კადა, დამლაგებელი და სხვა.	55	1225	14700	808500
5	მცირეწლოვანი შეიკრიბი	2	1225	14700	29400
6	მეზაგვნი	1	1225	14700	14700
7	დღეგრძელი	2	1800	21600	43200
<b>ბ ა ლ ი.</b>					
1	უფროსი მეზაგვი	1	2000	24000	24000
2	მისი თანამდებობა	1	1600	19200	19200
3	მუშა	8	1225	14700	117600
<b>ელექტრონის სადგური.</b>					
1	მექანიკი	1	2500	30000	30000
2	უფროსი მექანიკი	1	2400	28800	28800
3	მისი თანამდებობა	3	1950	23400	70200
<b>რემონტისათვის.</b>					
1	რემონტის გამგე	1	1800	21600	21600
2	მისი თანამდებობა	1	1225	14700	14700
3	მეზაგვი	1	500	6000	6000
4	წყალსადენის მომუშავე	2	300	3600	7200
სულ სასახლეს			84	—	1331100

1920 წ. თებერვლის 20-ს.  
საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი  
ა. ლომთათიძე.  
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ურდანიანი.

**დეკრეტი**  
საარტილერიო საწყობის დაქირავებუ-  
ლი სადარაჯო გუნდის შესახებ  
2.113.986 მ. და 40 კ. გადაღებისა.  
1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან  
სამხედრო მინისტრის განკარგულებაში ორი  
მილიონი ას ცაიტი ათას ცხრაას ოთხმოცდა  
ექვსი მანეთი და 40 კაპ. (2.113.986 მან. და  
40 კაპ.) საარტილერიო საწყობის დაქირავებ-  
ული სადარაჯო გუნდის შესახებ 1919 წ.  
სექტემბრის 1-დან 1920 წლის მარტის 1 დე.  
2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან  
მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ,  
1920 წ. თებერვლის 27.  
საქართველოს დამფუძნებელი კრების  
თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი  
ა. ლომთათიძე.  
საქართველოს რესპუბლიკის  
მთავრობის თავმჯდომარე  
ნ. ურდანიანი.

**დეკრეტი**  
ლანჩუთის ქალაქის თვითმართველო-  
ბისა და სენაკის სამხრო ეროვნათ-  
ვის 1,000,000 მან. სესხის მიცემისა  
მდინარე რიონის ნაპირების გასამაგ-  
რებლად.  
1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან  
მოსათ. მოქმედების მინისტრის განკარგულებ-  
აში ხუთასი ათასი (500,000) მანეთი ლან-  
ჩუთის ქალაქის თვითმართველობისათვის და  
სესხის ათასი (500,000) მანეთი სენაკის სე-  
მარო ეროვნისათვის უპროცენტო საშუალო-  
რაციო სესხად მდინარე რიონის ნაპირების  
გამაგრებისათვის.  
2. პირველი (1) მუხლში აღნიშნული თანხა  
უნდა აენაზღაუროს სახელმწიფოს ხაზინას ლან-  
ჩუთის ქალაქის თვითმართველობისა და სე-  
ნაკის სამხრო ეროვნის მიერ ხუთი წლის გან-  
მავლობაში დღიდან ფულის მიღებისა.  
3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან  
მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ,  
1920 წ. თებერვლის 27-ს.  
საქართველოს დამფუძნებელი კრების  
თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი  
ა. ლომთათიძე.  
საქართველოს რესპუბლიკის  
მთავრობის თავმჯდომარე ნ. ურდანიანი.

**დეკრეტი**  
სახელმწიფოს დაწესებულებათა შესა-  
ნახად უფელთვიურად 65.827.720 მან.  
გადაღებას დეკრეტის მოქმედების გან-  
გრძობისა.  
1. განგრძობილ იქნეს 1919 წლის დეკრე-  
ტის 3 ს დეკრეტის (კან. და მთავ. განკარგ.  
კრებულს № 20, კან. № 218) მოქმედება ამა  
1920 წლის მარტის, აპრილის და მაისის თვე-  
ებში და გადაიდოს სახელმწიფო ხაზინიდან  
მთავრობის განკარგულებაში ამა 1920 წლ.  
მარტის 1-დან სამი თვის განმავლობაში ყო-  
ველთვიურად სამოცდა ხუთი მილიონი რუბლს  
ოცდა შეიდი ათას შეიდას ოცი (65.827.720)  
მანეთი.  
2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან  
მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ,  
1920 წ. მარტის 1-ს.  
საქართველოს დამფუძნებელი კრების თავ-  
მჯდომარის უფროსი ამხანაგი  
ა. ლომთათიძე.  
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის  
თავმჯდომარე ნ. ურდანიანი.

**დეკრეტი**  
სახაზინო რკინისგზის საოპერაციო ავან-  
სის დამტკიცებისა, ამავე რკინისგზისათ-  
ვის განაკუთრებული თანხის დაარ-  
სებისა და სატრიალერული კაპიტალის  
გადიდებისა.  
1. სახაზინო რკინისგზის მთავარ ბუჯალ-  
ტერიის 1910 წ. სექტემბრის 25-ს დამტკი-

ებულ დებულების 71 წის მიხედვით—და-  
დასტურებულ იქნეს საქართველოს სახაზინო  
რკინისგზის სამმართველოს საოპერაციო ავან-  
სად ნახევარი (1/2) % ამავე რკინისგზისათ-  
ვის გახსნილი წლიური კრედიტებისა.  
2. სახაზინო რკინისგზის იმ შედარბარჯის  
და სასწრაფო ხარჯის დასაფარავად, რომე-  
ლიც დატარებულა მოძრაობის სიდიდისა,  
სტიქიურ მოვლისა, საექსპლოატაციო მისა-  
ლისა და მუშა ხელის ფასის გადიდებაზედ  
არის დამოკიდებული და რომელიც წინაწარ  
არის შეთანხმებული რკინისგზის სახელმწი-  
ფო კონტრაქტთან, ხოლო შემდეგში გატარე-  
ბულ იქნება კანონმდებლობითი წესით—და-  
არსდეს გზათა მინისტრის განკარგულებაში  
განსაკუთრებული თანხა რაოდენობით 10 პრო-  
ცენტი სახაზინო რკინისგზისათვის გახსნილი  
წლიური საექსპლოატაციო კრედიტებისა.  
3. სატრიალერული კაპიტალი, გადაღებუ-  
ლი ამიერ-კავკასიის რკინისგზისათვის 1900  
წ. ივნისის 12-ის და 1911 წ. ივნისის 3-ის  
კანონით, გადაღებულ იქნეს საქართველოს სა-  
ხაზინო რკინისგზისათვის თქვესმეტ მილიონ  
ცხრაას ორმოცდა ექვსი ათას რუბლს სამოცდა  
(16.946,860) მან. და 21 კაპიტილან სამოცდა  
მილიონ (60 000,000) მანეთამდე.  
4. მე 2 და მე 3 მუხლში აღნიშნული საკო-  
ნონისათვის გადაიდოს გზათა მინისტრის  
განკარგულებაში:  
მეორე მუხლისათვის . 46000000 მან.  
მესამე მუხლისათვის . 43053139 მან. 79 კაპ.  
სულ . 89053139 მან. 79 კაპ.  
ოთხმოცდაცხრა მილიონ ორმოცდაცამეტ  
ათას ას ოცდა ცხრაშეტი მანეთი და 79 კ.  
5. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან  
მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ,  
1920 წ. თებერვლის 27-ს.  
საქართველოს დამფუძნებელი  
კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი  
ა. ლომთათიძე.  
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის  
თავმჯდომარე ნ. ურდანიანი.

## არა ოფიციალური განცხადება

### უინაგან საქართველოს სახილ-სსრუი.

#### ბორჩალოელ გერმანელითა შუამდ-გამლობა.

შინაგან საქართველოს სახილსტროს დამფუძნე-  
ბელ კრების წევრმა ბ. ბილმა მიმართა შუამ-  
დგომლობით, რათა გერმანელების ორ სო-  
ფელს (ბორჩალოს მუხრანში) ორმაშენს და  
იაკობლის გამოუყვლონ სახელი და შეიკო-  
ლებულ იქნეს სსენებულ სოფლებში სასოფ-  
ლო სამმართველო მამასახლისი, რომელსაც  
ექნება სოფლის მექანიკი. პირველ სოფლის  
ორმაშენს უნდა ეწოდოს ვალდგომი, მე-  
ორეს იაკობლის—ბლიუგენფელდი. შუამდგო-  
ლობას თან ახლავს ორივე სოფლის ვლდებ-  
ის დადგენილება. შინაგან საქართველოს სახილ-  
სტროს კანცელარიამ საქართველოს ცნობების მისა-  
ღებათ მიმართა ბორჩალოს სამხრო კრების  
გამგეობას.

#### მოწყობილ ოთახების დაბეგვრა.

ქალ. ტფილისის თვითმართველობის გამ-  
გეობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის  
წინაშე, რათა მთავრობას ნება მიეცა გააგეო-  
ბისთვის მოწყობილ ოთახების და გასტრო-  
ნომიულ მაღაზიების დაბეგვრისა. ქალაქის  
გამგეობის მიერ ამ დაბეგვრით შეიკო-  
ნა 650000 მან. შ. ს. ს. მოხსენება წარადგინა  
ამის შესახებ მთავრობაში და მთავრობამ  
დაადგინა: ქალაქის გამგეობის დადგენილება  
მოწყობილ ოთახების და გასტრონომიულ მა-  
ღაზიების დაბეგვრის შესახებ მიღებულ იქ-  
ნას.

#### რეკვიზიციის გამო.

ქუთაისის სამხრო ეროვნის გამგეობას თა-  
ნახათ მისივე დადგენილებისა მოწერილობა  
გაუგზავნია ბილდის რაიონის მილიციის

ფეროსისათვის, რათა უკანასკნელმა დაუყოვნებლივ მოეყვანოს სისრულეში ერთი ლუკას ძე წაქაძის სახლის რეკონსტრუქციის მოხდენა აფთიაქისათვის. შინ. ს. მინ. ამხანაგმა ამის გამო აცნობა ქუთაისის სამხარეო ერთბის გამგებებს, რომ ასეთი წესით მიწის ჩამორთვევა დაუშვებელია და წინადაბა მისცა გააუქმოს შემოღებული დადგენილება.

**ქ. ფოთის შუამდგომლობა.**

ქალ. ფოთის თვითმმართველობამ შუამდგომლობა აღძრა შ. ს. ს. რათა მას მთავრობამ კანონმდებლობით წესით უფლება მიანიჭოს ნავთსადგურით შემოტანილ და გატანილ საქონელზე საფუთო გადასახადის გადიდებისა. ფოთის თვითმმართველობამ ამ შუამდგომლობას იმით ასაბუთებს, რომ ქალ. ფოთი თუ არსებობს, როგორც ქალაქი, არსებობს მხოლოდ ნავთსადგურისა და რკინის გზის სადგურისათვის. ამიტომ ქალაქის გასამშენებელი და თვით დაცვის ისეთი ხარჯები, რაც აღმებრტევა მოქალაქეთა შესაძლებლობას—უნდა დაიდაროს ნავთსადგურის და რკინის გზის სადგურის შემოსავლიდან. საბჭოს დადგენილება ნავთსადგურით შემოტანილ და გატანილ საქონელზე გადასახადი შემდეგია:

1. 10 კაპ. ფუთ აგურზე.
2. 15 კაპ. ფუთ შებენზე.
3. 30 კაპ. ფუთ შავ ქვაზე.
4. 40 კაპ ფუთ ყოველწლიურ მიწის სასუქ ნივთიერებებზე და სამეურნეო იარაღებზე.
5. 1 მან. ფუთ ცემენტზე, ყოველწლიურ ხარბელულობაზე, ქერზე, შვრიანზე, სიმინდზე, ღომზე, ფეკალზე, კართოზილზე, ლობიოზე, მუხუნზე, მარაზე და ქვა ნახარზე.
6. 2 მან. ფუთ უბრალო ხე-ტყეზე დამუშავებულ ყოველ წლიურ მასალაზე გარდა ნივთის ხის, ბზის და წითელი ხის და საქონლის საკვებისათვის, როგორც არის ბზე, თივა და ქიხა (ნაქაი).
7. 3 მან. ფუთ ყველა დანარჩენ საქონელზე.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ სათანადო მოხსენება წარუდგინა მთავრობას ამის თაობაზე.

**გადაცემულ ფულის აღმოჩენა.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს გუთაუთიდან აღუყვებენ, რომ ის სახელმწიფო ფულები, რომელიც 18 თებერვალს ავანაქებმა გაიტაცეს გუთაუთის ფოსტაზე დაცემის დროს, აღმოჩენილია ერთ ავანაქაგანი ტარგან კაჟული დაუკრიათ, მეორე კი—ტარგანოვი, მოულოადა.

**ყაჩაღების შეპყრობა.**

ზუსტადიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს აღუყვებენ, რომ დიდა წინააღმდეგობის შემდეგ იქ შეუპყრიათ (ყაჩაღი) ყაჩაღები ჯოლო აკაბა, ისაკ კვარანცხელია, სოკრატ თორღია და საჩი ჯიქია.

**სამხადრო საინისტრუქციო მადლობა.**

ქ. გორში და მის მახლობელ სოფლებში მიწის ძვრისაგან მოხდაჩაა უბედურებამ ადგილობრივი გარნიზონი ფეხვე დააყენა. ოფიცრებმა, ჯარისკაცებმა და გვარდიელებმა დაუყოვნებლივ მიიღეს საჭირო ზომები, რომ დაზარალებულთათვის გაეუიათ ყოველგვარი დაზიანება. ამ ეროვნულ უბედურების დროს გარნიზონმა გამოიჩინა დიდი ენერჯია, გმირობა და თავგანწირულება, რათა სტატიურ მოვლენისაგან დანგრეულ ქალაქისა და უკარბინოთ დატოვებულ მშვიერ მცხოვრებლებისათვის გაეწიათ მორალური და რეალური დახმარება. ასეთი სასიკეთლო და თავგანწირული მოქმედება გარნიზონისა აინხნება მხოლოდ მისი მოქალაქეობრივი და ადამიანური მოვალეობის შეგნებით და ჩვენი დემოკრატიულ რესპუბლიკისადმი უზომო სიყვარულით. გარნიზონის ასეთი გმირული საქციელი არის საუკეთესო მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი მხედრია იგი თუ უბრალო მოქალაქე, მაშინ, როდესაც მის სამშობლოს ეწვია რაიმე უბედურება.

სამსახურებრივ მოვალეობად ვრაც გამოუცხადო გორის გარნიზონის ოფიცრებს, ჯარისკაცებს და გვარდიას გულითადი მადლობა და ვუთხრო მათ ყოველ მათ მოქმედებაში ასეთივე გმირობა და მხნეობა რესპუბლიკის საკეთილდღეოდ.

სახელმწიფო მინისტრი გ. ლორთქიფანიძე.

**საქართველოს საინისტრუქციო სამსახურის დათვალიერება**

საქართველოს კომისიარიატის მიერ დანაშაულმა სასანიტარო კომისიამ დაათვალიერა სტამბები: „სახალხო საქმე“, სამხედრო უწყების; სახელმწიფო სტამბა, სტამბა პ.ტ. ვასი, „სლავო“-სი, ქართველ ამხანაგობის, „მამული“, საქს. მავი „ბრუკისა“, ბიზოვს ლიტოგრაფია, ხენებულ სტამბებში აღმოჩნდა, რომ არ არის დაცული საჭირო სისუფთავე, ხშირად არ იზოგინება ნაღული წყალი და საპონი. სტამბებში: რუხაძის, „გოზროკედნის“, „პროგრესში“, „ახსტავორში“ და კალანდის შემწეულია დიდი ანტისანიტარული მდგომარეობა.

ბა და ბინის სიფიწრევეც. კომისიამ წინადადება მისცა ჩამოთვლილ დაწესებულებების გამგეთ ყურადღება მიექციონ ამ გარემოებას და დაუყოვნებლივ გამოასწორონ. ისეთ სტამბის პატრონებმა, რომელთა შენობები გამოუსადეგარნი არიან უნდა დაზინადვენ შესაფერ სახლებში.

**მეფის ქვრა შემოწირულებანი.**

მთავრობის საგანგებო კომიტეტს მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად სხვა და სხვა საწოვავით და თბილესობით დახმარება აღმოუჩინეს:

1. საკრედიტო დაწესებულებათა კავშირმა 40 ფუთი პური.
2. საქართველოში არსებული სომეხთა ეროვნულ საბჭომ, სრულიად უფასოდ დაუთმო სომეხ-ქეიმთა საავადმყოფოში 20 საწოლი.
3. ქ. სოხუის საბჭო არყობინებს მთავარ კომიტეტს, რომ იქ უკვე შესდგა დაზარალებულთა დახმარებ კომიტეტი, რომელიც ღებულობს მოქალაქეთაგან ყოველგვარ შემოწირულებას და აღუთქავს მთავრობის კომიტეტს ყოველგვარ დახმარებას.
4. ამირიკის დახმარებ კომიტეტი აღოსავლეთში 3 ვაგონი ძვილი ტანისამოსი გაგზავნა.
5. ქალაქ თელავის თვითმმართველობა იტყობინებს, რომ იგი მზად არის თვით საკუთარ ხარჯზე ორი თვის ვადით შეინახოს 50 დაზარალებული ლტოლვალი, ხოლო მთავრობის დახმარებით 150 ლტოლვალი.
6. ა. წ. 29 თებერვალს ქ. გორში გაემგზავრა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაეცალა მომადინონ გეოლოგიური გამოკვლევანი იქ მომხდარ ნიადაგის რყევის შესახებ.
7. ა. წ. 28 თებერვალს მთავრობის განკარგულებით ქ. გორში გაემგზავრა განსაკუთრებული სტატისტიკური კომისია ბ. პ. ვ. გელიშვილის მეთაურობით სტატისტიკურ გამოკვლევათა საწარმოებლად.
8. სოფ. მეგვრის-ხევის უბნის მომრიგებელი მოსამართლე ქიქიშვილი ატყობინებს მთავრობის კომიტეტს, რომ იქ სასამართლოს შენობა მიწის ძვრის გამო დაზიანებულია, მუშაობა შეუძლებელია და ითხოვს შესაფერ განკარგულებას.
9. ქ. გორიდან ლტოლვილთა გადასაცვანად რესპუბლიკის რკინის გზის სასამართლომ დანიშნა მუდმივ მოძრაობაში განსაკუთრებული მატარებელი.

**საქართველოს კონსტიტუციის შესახებ.**

**9. სახელმწიფო ენა.**

სახელმწიფოსათვის ოფიციალური, სახელმწიფო ენის მნიშვნელობას დიდი მტკიცება არ სჭირია, იმდენად ნათელი და თვალსაჩინოა იგი მნიშვნელობა ყველასათვის. როგორც ადამიანი არ ვარგა უცნოდ, ისე უფრო სახელმწიფო არ ივარგებს, ყოველ შემთხვევაში იგი ვერ მიადრწესს თავის ანკნობის მიზანს. სახელმწიფომ, როგორც კოლექტიურმა მთელმა, როგორც პოლიტიკურმა ორგანიზმმა უნდა გამოხატოს და გაატაროს ცხოვრებაში თავის სუვერენული ნებისყოფა და ეს შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფო ენის საშუალებით, იმ ენის, რომლითაც მტყულებს თვით სახელმწიფოს ხალხი. სახელმწიფომ, თუ შეიძლება ასე ითქვას, უნდა იაზროვნოს, იკანონმდებლოს და იმოქმედოს, სისრულეში მოიყვანოს თავის ზრახვანი და გადაწყვეტილებანი და ეს წარმოსადგენია მხოლოდ და მხოლოდ ენის მეოხებით, რომელსაც მოთქიებული აქვს ოფიციალური სახელმწიფოებრივი ბუნება და ხაიათი.

ჩვენის ფაქტით, იდეალური განწყობილება მაშინ არავიანს სახელმწიფოებრივობას და მის შემდგენელ ხალხს შორის, როცა ეროვნულად ხალხი და სახელმწიფო ერთიერთმანეთს ფარავენ, როცა სახელმწიფო ნაციონალურია, ნაზისადმე, როცა იგი არსებითად ერთნოვანი და ერთნოვანია. ყოველწინა-ორი წლისაზრებით მიხანაშეწონილია საყვრელთა განვითარების ინტერეებისათვის და ხალხის ძალების ყოველმხრივ ამოღებისათვის, რომ, რამდენადაც შესაძლებელია ისტორიული სინამდვილის მიხედვით, განხორციელდეს ფორმულა: ერთი ენა—ერთი სახელმწიფო—ერთი ენა!

ამ თ მინიმუმადე დავა, ან სულ გაჭრება ნაციონალური საქრბის სიმწვავე სახელმწიფოს შინაგარე ცხოვრებაში და საშუალოდ პირობები წარმოიშვება თვით საერთაშორისო შეკავშირებისათვისაც.

ამ დიდათ მნიშვნელოვან ფორმულაზე გასულ საუკუნის განმავლობაში ბევრს ლაპარაკობდენ. მაგრამ მისი გარდაუვალი საქროე ბისათვის მხოლოდ თანამედროვე ისტორია და სინამდვილე ამტკიცებდა. ომის და რევოლუციის ერთი უბედულ და უმნიშვნელოვანეს შედეგად უნდა ჩათვალოს დაშლა და მრავალეროვანი სახელმწიფოებისა ან მათ ნანგრევებზე შექენა მრავალ დამოუკიდებელ ნაციონალურ სახელმწიფოებისა, ავსტრიის და რუსეთის ბედი ამას საუკუთოდ ადატურებს.

პროცესი ჯერ კიდევ დაუსრულებელია. ამავე სახელმწიფოების ბედს განიწილებენ სხვა მრავალეროვანი სახელმწიფოები და რთული იმპერიული-ტური ქვეყნები. ამ საყოველთაო მიმდინარეობასთან ბრძოლა სრულად ამაოა, ვინაიდან ეს მიმდინარეობა დემოკრატიის განვითარებისათვის არის დაგვირგვინებული. ხოლო დემოკრატია და მისი გამარჯვება თანამედროვე ისტორიის კანონია, რომელსაც მოჩილობს ყოველი ერი და ყოველი სახელმწიფო.

საყურადღებოა, რომ დღეს სწორედ სოციალისტურ წრეებიდან იმის ყველაზე უფრო მკვეთარი ხმა ამ ისტორიულ პროცესის შეგნების სასარგებლოდ. ყოველ შემთხვევაში ყველაზე უფრო ღრმა, ჰუმანიტური და შორსმკვრეული თანამედროვე სოციალისტთა შორის კაჟკა, როგორც კულტურის, ისე დემოკრატიის და სოციალისტისათვის ბრძოლის თვალსაზრისით აღიარებს ნაციონალური სახელმწიფოს უპარატესობას მრავალ ერიან რთულ სახელმწიფოს წინაშე. მაშასადამე, რამდენადაც ისტორიულ პალატკური პაროები შესაძლებელს ხდიან ნაციონალურ სახელმწიფოს აღორძინებას და მის გამოყოფას მრავალ ერიან იმპერიიდან, სადაც გაბტანებულია სახელმწიფოებრივი ქაოსი და ნაციონალური მძულვაობა; იმდენად ჩვენ ამ პროცესს პროგრესულ-დემოკრატიულად ვაფიქთ დადებითად და სიმარტებით ვხედებთ.

ბნა ნახეთ კაჟკის არგუმენტაცია ნაციონალურ სახელმწიფოს სასარგებლოდ ჯერ მხოლოდ ენის საკითხის თვალსაზრისით. მისი თქმით ენა არის ორგანო ყოველი საზოგადოებრივი მოღვაწეობის და პოლიტიკის. პარტიზაზე მაშინ მოგხდნთ გავლენას, როცა ვიცით მისი ენა. თუ ერთს სახელმწიფოში ლაპარაკობენ მრავალ ენაზე, მოღვაწეს, მწერლობას და პარტიის საშუალება აქვს მიმართოს ერთად მხოლოდ ხალხის ნაწილს და არა მთელ ხალხს. ისეთი ინტერნაციონალური პარტიაც კი, როგორც სოც. დემოკრატია, იძულებული გახდა ავსტრიაში დყოფილიყო მრავალ პარტიულ ორგანიზაციად ეროვნების მიხედვით (ესლა ჩვენ შეგვიძლიან დაუპატოთ, რომ ავსტრიის ნანგრევებზე სხვა და სხვა ნაციონალური სახელმწიფოები აღიმართენ).

ხოლო დემოკრატიულ ქვეყანაში, სადაც ერთი ეროვნება ბატონობს, კაჟკის აზრით, ყველა მოღვაწეს და ყველა პარტიის მხოლოდ ერთადერთი შესაძლებლობა აქვს გააძლიეროს თავისი გავლენა სახელმწიფოში. ესაა პროპაგანდა თავის იდეებისა ხალხში. ერთი სახელმწიფოში კი არავის არ შეუძლია მთელ ხალხზე გავლენის თვისი გავლენა. აქ იქ ლევა დასაბამი ეროვნულ ბრძოლას სახელმწიფოში და ყალიბდება თვით დემოკრატია და მისი პინიკი, ამავე დროს დემოკრატია გულისხმობს თანასწორობას სახელმწიფოთა ძალაუფლების მიმართ. და აი სწორედ ეს თანასწორობა ბათილდება მრავალ ერიან სახელმწიფოში. თანამედროვე სახელმწიფო საკითხებს ეროს მართველობას და ერთ ენას ამ პირობებისათვის. ძნელი წარმოსადგენია თანამედროვე სახელმწიფო, თუ არ აქვს სახელმწიფო ენა, რომელიც ესმოდეთ და რომელზედაც ლაპარაკობდენ ყოველ შემთხვევაში ყველა უმღლეს დაწესებულებაში. შეერთებული შტატები შეიცავენ მრავალ ერს, ისინი არ წარმოადგენენ ცენტრალისტურ სახელმწიფოს. მიუხედავად ამისა იქ გაბატონებულია ერთი ენა—ანგლისური.

სტრიას გერმანული უკიდურეს აუცილებლობის დროს შესაძლებელია კიდევ არავიანდეს პარტიას სახელმწიფოში ორი ოფიციალური ენა, მაგრამ მეტა ენის ბატონობა სახელმწიფოში პრაქტიკულად განუხორციელებელია. ცხადია, მრავალენიანობა სახელმწიფოში დემოკრატიულ თანასწორობისთვის მაზარალებელია. ვინც იცის სახელმწიფო ენა, მის უპირატესობა აქვს იმის წინაშე, ვინც იგი არ იცის. ძნელია ბრალდებულის მდგომარეობა, თუ მოსამართლემ და დამცველმა არ იციან მისი ენა. ძნელია მოწაფის მდგომარეობა, თუ სწავლა სწარმოებს მისთვის გაუგებარ ენაზე.

არა სახარბიელია მოხელეს მდგომარეობაც თუ არ იცის თავის უწყების ენა. პარლამენტარული ორატორის სიტყვაც ვერ ახდენს შთაბეჭდილებას, როცა მას უხდება ლაპარაკი იმ ენაზე, რომელიც კარგად არ იცის ან იმ ენაზე, რომელიც ესმის მხოლოდ მსმენელთა ერთს ნაწილს და სხვ. (კ. კაჟკი, „ნაციონალური სახელმწიფო, იმპერიული-სახელმწიფო და სახელმწიფოთა კავშირი. რუსული პარტეი თავის: „დემოკრატია და ნაციონალური სახელმწიფო“).

სხვა საბუთებიც შეგვეძლო მოგვეყვანა და სახელმწიფო ავტორის სხვა და სხვა თანამედროვე შრომებიდან. შეგვეძლო სხვა სერიოზულ ავტორების აზრებიც გაგვეტყურობა მათხველის გონების თვალწინ. მაგრამ ნათქვამის საკმაოდ ნათლად აყენებს კითხვას და ნათლადვე უპასუხებს მას. დემოკრატია შესაძლებელია საგნებით განვითარდეს და ამოღდეს მხოლოდ ნაციონალური სახელმწიფოს საზღვრებში. მრავალეროვანი სახელმწიფოში იქმნება ისეთი ობიექტური კულტურულ-პოლიტიკური ნიადაგი, რომელიც ალვივებს დამღუპელ შინაურ ბრძოლას და გნებს დემოკრატიის განვითარებას. ასეთი დასკვნა თანამედროვე ფაქტებიდან და დაჭვირებითაა.

დიხ, ყოველი სახელმწიფო ცდილობს დააკანონოს ერთი ოფიციალური ენა. ყოველი სახელმწიფო ანხორციელებს თავის ნებას, თვის პოლიტიკის ერთი ოფიციალური ენის საშუალებით. ესაა საერთო წესი. ვიცი, არიან

10. ამაშის თანამშრომელთა ცენტრალური საბჭო ატყობინებს რა მთავრობის კომიტეტს, რომ იქ უკვე თანამშრომლებს თვისი თვითრი ჯანაგირის 5% უფვე შეუტანიათ ადგილობრივ დახმარებ კომიტეტში. ეკითხება კომიტეტს სადაღებულთა თუ არა კიდევ ერთი დღის ჯანაგირის კომიტეტის განკარგულებაში გადაგზავნა, რაზედაც კომიტეტმა აცნობა, რომ ყოველივე შემოწირულება უნდა იგზავნებოდეს მის სახელზედ.

11. სიღნაღიდან იუწყებიან, რომ იქ დაარსებული დამხმარებ კომიტეტი, რომლის განკარგულებაში სიღნაღს მახრის ერობას გადაუცია 5.000 მანეთი, რითაც მათ შეძლება აქვთ 100 სულის შენახვა და საზრდოება. იმედოვანად აქვთ მომავალში ეს რიცხვი გაადიონ. ხარებულ მახრის კომიტეტს უპაურობდა მიაჩნია, რომ იქ გადაგზავნილ იქმნენ უმთავრესად ქალები და მცარე წლოვანი. ასლი ამ დეკლარაციას, მთავრობის კომიტეტმა გაუყვანა თვის რწმუნებულს ქ. გორში ექიმს ზანდუკელა ცნობად და სახელმძღვანელოდ.

12. ბათუმის ქართველთა ეროვნული საბჭო იტყობინება, რომ იქ დაარსებული მუდმივი დამხმარებ კომიტეტი, და იმვე საბჭოს სერთო სხლომაზედ სასწრაფოდ მოუგროვებიათ 666,000 მან.

13. ხონში შესდგა გორში დაზარალებულთა დამხმარებ კომიტეტი, რომელიც როგორც გადმოქვესს დეკლარაცია—ენერჯიულად მუშაობს ნაკისრ მოვალეობის შესრულებისათვის.

14. რესპუბლიკის ერობათა კავშირის გამგეობამ შესწირა გორში დაზარალებულს მრავალი სათბილობა, ტანსამოსი და აგრეთვე რამდენიმე ათი ათასის მან. პირველ საჭიროებათა ნივთები, როგორც არის ვედროები, თებები, კოვზები, ჩიხინები, და სხვ. ხსენებული ნივთთა გამოსავსებათა გაიგზავნა სიგანგბო კავშირის წარმომადგენელი ქ. ქუთაისში.

15. იტალიანურ—კავკასიის ბანკმა შემოსწირა 200,000 მან., 16. დიმატრი ილარიონის ძე შითლანაძემ 100,000 მან., 17. ვერის იონანთალო-მცემლის ეკლესიას წინამძღვრისაგან 22 თებერვალს უბრავზე შეკრეული 1,561 მან., 18. ტფ. XI უბნის მომრიგებელ მოსამართლის კანკელარის მოხუცეებმა 160 მ. 19. სოპ.-კათოლიკეთა საქე. საზოგადოებამ 2,810 მან., 20. ნოე სინარულიძემ 15,000 მან., 21. დავით ალექსანდრის ძე გუგრაშვილმა 500 მან., 22. ტფ XXI უბ. სამომრიგებლო უბნის მოხუცეებმა 280 მან., 23. რაქვენ მათეს ძე არსენაძემ 1,000 მან., 24. გიორგი თევდორეს ძე ყორბანიამ 1,000 მან., 25.

დამირი ილარიონის ძე შიოლაძემ 1,000 მ. 26. იუსტიციის სამინისტროს მოხელეთაგან 2240 მან., 27. ვაჭრობა-მრეწველობის დეპ.— 2 იტალიის მოქალაქეთა ინტ. დელაპროკატორს და ვიტროსაგან 50,000 მან., 28. საფრანგეთის სამხედრო მისიისაგან 100,000 მან., 29. გიორგი სულხანის ძე ამირალოვ მა 500 მან., 30. კავკასიური შავი ზღვის სავაჭრო-სამრეწველო აქციონერთა საზოგადოების მოხელეთაგან 2,700 მან., 31. მიხეილ ალექსანდრეს ძე ქუთათელაძისაგან 10000 მან., 32) მე-8 უბნის მომრ. მოსამართლის მოხელეთაგან 51 მან., 33. რუსულ კლუბის მამასახლისთა საბჭოსაგან 10000 მან., 34. ქართულ-ბერძენთა ახანაგობა კავკასია და ფერმესი 5000 მან., 35. კლუბი „უნიონი“-ს წევრთაგან 44316 მან. 50 კ., 36. საქართველოს სენატის მოხელეთაგან 8675 მან., 37. უფროსი ნოტარიუსის მოხელეთაგან 450 მან., 38. ტფ. მე-15 უბ. მომრ. მოს. მოხელეთაგან 210 მან., 39. ტფ. მე 14 უბ. მოს. მოხელეთაგან 170 მან., 40. ტფ. მე 9 უბ. მომრ. მოს. მოხელეთაგან 350 მან., 41. დამფ. კრების წევრის ბერძენის მიერ კოლონიებში შეგრ. 6609 მან., 42. ტფ. საურთიერთო ნობის სამეურნეო სა—ზის ბანკიდან და მოხელეთაგან 109700 მან., 43. სასტუმრო „ნორ“-ს მოსამსახურეთაგან 830 მან., 44. ა. ა. მარკარიანისაგან 2000 მან., 45. შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ რაზმისაგან 15432 მან., 46. ამიერ-კავკასიის გერმანელ კავშირთა საბჭოსაგან 21000 მან., 47. არ. მიხ. ახანაგობისაგან 1000 მან., 48. მე-13 უბნ. მომრ. მოს. მოხელეთაგან 100 მან.

თათბირმა დაადგინა გამოსცეს კიდევ შეერთებული ძალებით ქურდილი ერობა და „ქალაქი“, ამავ დროს გამოცემული იქნება მეორე პოპულარული ქურდილი.

თათბირმა ამოარჩია კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვეოს საკითხი მიერ ქურდილის გამოცემისა. კომისიაში შედიან: პ. კუპინაძე, ის. სტურუა, არ. ჯაჯანაშვილი და დ. კალანდარიშვილი.

**სასურსათო დახმარება ერობებს.**

ერობათა კავშირის კომიტეტმა თხოვნით მიმართა მომარაგების სამინისტროს დაუყოვნებლივ მიაწოდოს ერობებს: შორაპნის, ქუთაისის, რაჭის, ზუგდიდის, ახალციხის, აღბუღალის და ტფ. თესს საქარო სურსათ სანოვაგე. ხსენებულ რაიონებში მისალოდნელია სიმშვილთა.

**დეკემბერი**  
(საქართველო დეკემბრის საავტენტო) ამერიკული პრესა.

რკინის გზებზე ოთხი დღის გაფიცვამ პარიზში ყველაფერს ასწავა სურსათ-სანოვაგის ფასი. განსაკუთრებით გაძვირდა ის საქონელი, რომელიც ჩქარა ფუჭდება. ამ კვირაში აიწია ორჯერ. მოსალოდნელია კიდევ უფრო გაძვირება. გაფიცვის გამო რკინის გზებზე დარჩა ხორცი, მწვანილი, ხილი, კვერცხები და სხვა. სურსათ სანოვაგე პარიზში მოაქვთ ახლო-მახლო ადგილებიდან. ამის შედეგი ის არის, რომ კვერცხმა 9 სულამ 16 სულამ აიწია. კარტოფლის ფასმა ორჯერ აიწია. ერთ თავ სალათაში 8 სულ მაგიერ 1 1/2 ფრანკს აძლევს. საქონლის, ცხვრის, ხმის და ღორის ხორცის ფასი მეტად აიწიეს, რადგანაც ეს პროვინია ცოტა არის. რესტორანებში უცებ გაძვირეს ყველა კერძი. 12 ფრანკზე ნაკლებიან კერძი აღარ არის. მწვანე ყველისაგან გაყვანებული ჩვეულებრივი ერთი თევზი სუპი ღირს 16 ფრანკი. იძლევიან მხოლოდ თითო ბოთლ ლუდს. თვით გაფიცულებსაც კი სერიოზულად აფიქრებს ღვინის შექცობა. ერთის სიტყვით, საქმის მცოდნენი ამბობენ, რომ წითელი ღვინის სიმცირე გაფიცვის მოხსნის: ფრანგებს ხომ არ შეუძლიათ უღვინოთ იმსჯელონ და უსმელადა და სიტყვების წარმოუთქმობელად კი გაფიცულებიდან არავითარი საარგებლობა არ იქნება.

**ფრანგული პრესა.**

ორშაბათ დილით გაიხსნა ლიონის „ირბარკ“ არავითარ ცერემონიას ადგილი არ ჰქონია. გაფიცვის გამო საქმე ყველამ ვერ დაასრულა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მოსულები მაინც შეგრობა.

ბუღაბეშტიდან იფუქვიან: ეროვნულ კრების მიერ 141 ხმადან 131 ხმით უნგრეთის რეგენტი ამოირჩიეს ამირბარი ნიკოლოზ ხორტი.

მარსელიდან მოსული ცნობით სამშაბათს გემი „დოსტოია“ კონსტანტინეპოლში წაიყვანს 1500 ფრანკ ჯარის კაცს.

რევილიდან იფუქვიან: გენერალმა იუდენინმა თავის შტაბით დასტოვა ესტონეთი. ლატვიში მისიან განაცხადა, რომ ლატვიში მთავრობამ ნება მისცა იუდენინს რამდენიმე დღე დაჰყოს რიგში, სადაცაც ის ლიბავის გზით პარიზში წასვლას ფიქრობს.

„პტი პარიზენი“ ოსმალეთთან ზავის შესახებ შედეგ ინფორმაციას გვაწვდის. ოსმალეთთან საზავო პირობების გამოშვებამ ლონდონში სხვა და სხვა კომენტარები გამოიწვია. ლონდონში პრინციპალურად მთავარი პუნქტების შესახებ საკითხი არ შეიძლება, რომ აღიძვროს, როგორც მაგალ. კონსტანტინეპოლის ოსმალეთის ხელში დატოვებისა და სმირნის საბერძენეთისადმი გადაცემის შესახებ.

„პტი პარიზენი“ თავის შეხედულებას გამოთქვამს იმის შესახებ, თუ როგორი პასუხი შეიძლება, რომ გასცეს პაგის კაბინეტმა მოკავშირეების ნოტას. ნადერლანდაის მთავრობამ იცის, ამბობს გაზეთი, რომ ანტანტამ მტკიცეთ გადასწვიტა სისრულეში მოიყვანოს თავისი დადგენილებები, რომელთაც იგი უკანასკნელ ნოტაში აღწახსნავს, იმ შემთხვევაში, თუ პაგის კაბანეტა ყრინაობას დაიწყებს თავის ძველ მსოფმხედველობის შესახებ, რომელაც თავშეფარების უფლებაზე დაყრდნობაში მდგომარეობდა. ლაპარაკობენ, რომ ვილგელმ II საცხოვრებელი ადგილი გამოაცვალა. ექს-იმპერატორი გადაყვანილი იქნება (დამახინჯებული) სადაც მას მკაცრად ადგენენ თვალ ყურს. პოლანდის მთავრობა ირწმუნება, რომ ეს თვალყურის დევნება უფრო მსუბუქი იქნება თვით ევროპაში, ვინც რომელიმე ახალშენში.

**მოსკოვი, მარტის 3. ც. ა. კ. ბ. ბიუ.**

**სამხედრო ცნობა.** პეიორის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა პეიორა აიღო. მტერი ქალაქს გენიჩესკა უშენდა. როსტოვის რაიონში ჩვენ მდ. კაჩლინიკის ხაზზე გამოვიდით. წამოვიყვანეთ ტყვეები, ხელში ჩავიგდეთ ტყვის მფრტვეელი და თოფები. მეტეტკაიაზე ჩვენი შეტევა გრძელდება. წამოვიყვანეთ 500 ტყვე, ხელში ჩავიგდეთ 30 ტყვის მფრტვეელი 4 ზარბაზანი და სურსათი, ველიკოკინიკის რაიონში ჩვენ ბრძოლით ავიღეთ იგორინსკაია. ხელთ ვიგდეთ 2 ზარბაზანი, 4 ტყვის მფრტვეელი და სხვა ჩონება. სტავროპოლის რაიონში მხვერავები მოქმედებენ. სვიატოკრესტის რაიონში ჩვენ ბრძოლით 15/30 ვერსით წინ წავიწიეთ.

**მოსკოვი. 4 თებ.** ლიტვინოვი და ინგლასის მთავრობის წარმომადგენელი ო. გრენდი შეთანხმდნ სამხედრო და სამოქალაქო ტყვეების გაცვლა გამოცვლის შესახებ.

**საზღვარ გარეთ.** სპარსეთის რეგოლიუციონერების ბელადმა კურჩუნ ხანმა ქალაქი ენზელი აიღო. ინგლისელებთან ბრძოლა სწარმოებენ. სპარსეთში რეგოლიუციონური მოძრაობა იზრდება. ქალაქ ჰრაგაში სახალხო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკების დაწყებამდე აიძულოს. კრება მოითხოვს საბჭოთა მთავრობის აღიარებას და სურს, რომ საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღოს პროლეტარიატის წარმომადგენლებმა. ვარშავაში პოლონეთის მთავრობასთან მოვიდნენ ლატვიის და რუმინეთის წარმომადგენლები რუსეთთან ზავის შეკვრის საკითხზე მოსალაპარაკებლად. პოლონეთის მთავრობა მზათ არის უფარი განაცხადოს თავის მოთხოვნილებაზე რომ აღდგენილ იქნეს პოლონეთის საზღვრები პირველ გაყოფამდე.

მეორეს მხრივ, მოკავშირეებს სრულებით არა აქვთ სხეში ოსმალეთის დანაწილება. ოტომანის იმპერიის ჩამოშლის მიზნით, იგი ზოგიერთ ოლქს, სადაც სულ სხვა ხალხს სცხოვრობს. ზოგი, როგორც მაგალითად, არაბეთი მიიღებს დამოუკიდებლობას, ზოგი კი როგორც სირია, იქნება ავტონომიური, რომლის მანდატაც ერთ-ერთ ევროპის სახელმწიფოს ექნება. ქალაქი სმირნა საბერძენეთის უმეშვეო კონტროლის ქვეშ იქნება. დანარჩენი იმპერია იქნება სულთანის უმადლეს გამგეობის ქვეშ მაგრამ ზოგ ოლქში კი ოსმალეთის ვალთ მოეხმარება იან ევროპის აღმინისტრაციები: ადალიის ოლქში იტალიელები, კილიკიაში ფრანგები ქურდის ტანის ბედი ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი. ბოლოს და ბოლოს ოსმალეთთან საბოლოო საზავო ხელშეკრულება შედგენილი იქნება არა ლონდონში, არამედ პარიზში.

რკინის გზებზე გაფიცვა კვირასაც გაგრძელდა, მაგრამ გაფიცულთა რიცხვმა იკლო. სერთოდ „პოლმზე“ მდგომარეობა უმჯობესდება. ავტომობილთა მიმოსვლა პროვინციებში სხვა და სხვა მიმართულებით იყო, მაგრამ თვით პარიზში კი არ ყოფილა.

რკინის გზებზე გაფიცვა დასრულდა. ორ შაბათს საღამოს რკინის გზებზე დღევანდებ-სა და დიდ გზათა დირექტორებს შორის მოლაპარაკება მოხდა. მილიერანის შუამდგომლობით ორივე მხარე შეთანხმდა. კრების შედეგ მილიერანმა მიიღო პრესის წარმომადგენლები, რომელთაც მან განუცხადა თავისი კმყოფილება, რომ კონფლიქტი დასრულდა. მუშათა კავშირმა დაუყოვნებლივ გაცა ბრძანება მუშაობის დაწყების შესახებ.

ლონდონიდან „პტი ქურდილის“ ცნობით უმადლესი საბჭოს ეკონომიური სექციის სხდომა მოანდომეს სიძვირესთან ბრძოლის საშუალებების გამოხსნას. წარდგენილი იქნა რამდენიმე დადებითი ზომა და ითაბინირეს, სერთოდ მოხდა შეთანხმება. რადგან მიღებული გადაწყვეტილებები არ არის მხოლოდ ეკონომიური ხასიათის, მას თან ყვება პოლიტიკური ხასიათის შედეგებიც, ამიტომ ის მხარის დასაქურათ უნდა წარედგინოს მილიერანს. ინგლისური გაზეთების განმარტებით, მიღებული გადაწყვეტილებები გულსხმობს მოკავშირეთა მოქმედების ერთიანობას. მოკავშირეებს სახეში აქვთ, ჟთაოდ, საერთო, ან ერთი მეორესთან შეთანხმებით შესყიდვა საქონლისა, რათა ამგვარად მსოფლიო ბაზარზე თავიდან აიცილონ კონკურენცია.

**ლატვიასთან საზავო მოლაპარაკება.** თერლიტგელთა მინისტრთა საბჭომ დანიშნა რამდენიმე პირი საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკების წინასწარი მუშაობისათვის.—ჩრდილოეთ ამერიკის შრომის სამინისტრო ითხოვს გადასცენ მას 200,000 დოლარი ბოლშევიკური ავტორიტის წინააღმდეგ სამბრძოლველად 300,000 ბოლშევიკ ავტორიტარების გადასახლების ხარჯების დასაფარავად.

**სახალხო უნივერსიტეტი.**

1919 წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის მოღვაწეობა.

სახალხო უნივერსიტეტი მეცადინეობა დაიწყო ოქტომბრიდან. დაარსებულ იქნა 9 ქართული განყოფილება შემდგ ადგილებში: ნაძალადევის, ვერაზე, ჩუღურეთში, ორთაქალაში, ერთობის უბანში, წმ. ნინოს, საბურთალოზე და ავლაბარში. ორი სომხური განყოფილება: ავლაბარში და ხარფუშში, ხოლო ერთი რუსული—ქალაქის ცენტრში. გახსნილი იქნა აგრეთვე ქარა სასწავლებელი, ამთავან 5 ქართული, 2 სომხური და ერთი რუსული. სახალხო უნივერსიტეტთან არსებობდა აგრეთვე სახალხო კონსერვატორია, სტუდია სამხატვრო და საარქიტექტურო და დრამატული. ლექტორთა რიცხვი უდრდა 45 კაცს, რომელთაგან 35 კთხულობდა ლექციებს ქართულ ენაზე, 8—რუსულზე, 2 სომხურზე. ლექტორთა კოლეგიაში იყვნენ: 9 პროფესორი, 5 ექიმი, 2 ინჟინერი, 3 პოლიტიკური მოღვაწე, 5 ქურდილისტი, 3 იურისტი, 13 მასწავლებელი, ერთი ფილოსოფიის დოქტორი, 1 მწერალი, 1 არტიტი და 1 სტუდენტი. ქართულ განყოფილებაში წაკითხულ იქნა 669 ლექცია. აქედან—ნაძალადევის 78, თითო ლექციას უსმენდა დაახლოებით 60 კაცი, სულ დაესწრო 4,680 კაცი. ვერაზე 72 ლექცია, ესწრებოდა 40 კაცი, სულ 2880 კაცი; ჩუღურეთში 92 ლექცია—65 კაცი—5980; ორთაქალაში 44 ლექცია—30—5980. წმ. ნინოს 68—30—4320; ერთობის უბანში 6—30—2040; საბურთალოზე—72—40—2880; ავლაბარში—67—45—3075; ცენტრში—114—70—7980. სულ ყველა განყოფილებაში მოუსმენა სხვა და სხვა დროის განმავლობაში 46,145 კაცმა.

ლექციები იკითხებოდა შემდეგ თემებზე: ქართულ განყოფილებაში: ქიშია, ბოტანიკა, მინერალოგია, ბუნებისმეტყველება, ვარსკვლავთმრიცხველობა, გეოგრაფია, საქართველოს სტრატეგული საზღვრები, საქართველოს გეოგრაფია, სიმდიდრენი ჩვენი ქვეყნისა, გეოგნაფიზიოლოგია, ანატომია, ძველი და ახალი ისტორია, საქართველოს მწერლობა XIX საუკუნეში, პოლიტიკური ეკონომია, სფრანგეთის რეგოლიუცია, უმთავრესი საკითხები აღზრდისა, სოციალოგია, სოციალური ბრძოლა ძველ რომში, ხელოვნებას ისტორია, ფსიქოლოგია, საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა, სახელმწიფოებრივი უფლება, ცხოვრება და მეცნიერება ევროპისა, ცხოვრება განთქმულ პირებისა, სოციალიზმის ისტორია, ფილოსოფია, სოციალიზმი, ხელოვნების წარმოშობა, რუსულ ენაზე იკითხებოდა: პოლიტიკური ეკონომია, ბატანიკა, ხელოვნების ისტორია, მუშათა მოძრაობა ინგლისში, როგორ ხორციელდება სოციალიზმი, გლეხთა რეგოლიუცია გერმანიაში. სომხურზე: მუშათა სოციალური მოძრაობა და გიგნას მსმენელთაგან იყვნენ: მუშები: 80%, ქართულ განყოფილებაში. რუსულში 70%, სომხურში 65%.

თითო სკოლაში 45 კაცი იყო. უსახსრობის გამო გამგეობა იძულებული გახდა დაეხურა მხატვრობისა და არხიტექტურის სკოლა და დრამატული სტუდია, რის გამოც საშუალება მოესპო ცოდნის შეძენისა სამხატვრო სკოლაში 300 კაცს, საარხიტექტურაში—150, დრამატულ სტუდიის—100 მსმენელს.

კონსერვატორიაში ითვლება 500 მოსწავლე. ჩამოთვლილ განყოფილებათა გარდა უნივერსიტეტს აქვს მუშათა კლუბი, რუსული დრამატული წერი, რომელიც ხსენებულ კლუბში კვირამდე ერთხელ მართავს სპექტაკლებს, არსებობს სამხატვრო სალიტერატურო წრე, სადაც იკითხება რეფერატები და სხვა. ამ ხნის განმავლობაში უნივერსიტეტის გამგეობის მიერ გამართულ იყო 14 სალიტერატურო საღამო რუსულ ენაზე, ხოლო ქართულზე 4.

**სხვა და სხვა.**

კვირას, 29 თებერვალს, სახანო თეატრში სამხედრო სამინისტროს კულტურულ განმანათლებელ სექციის ინიციატივით დაიდგა ოპერა: „თქმულბა შოთა რუთაველზე“, რომელსაც დაესწრო ტჟულისში მდგომი ყველა სამხედრო ნაწილები, როგორც მაგალითად: მე-7 და მე-5 ათასეულები, სავტალობილო და საავაციო და სხვ. სამინისტროს უმწუბრო გუნდები. რადიო ტელეგრაფის ჯარის კაცნი, სანაპირო და საარტილერიო დივიზიონი. ოპერამ კარგად ჩაიარა. მრავალი ჯარის კაცნი და გვარდიელნი დაესწრო ოპერის შეხედვ დაიდგა ბალეტი.

**მეზობა**

26 თებერვალს შესდგა შეერთებული სხდომა ერობათა და ქალაქთა კომიტეტების წარმომადგენლებისა. თათბირზე მონაწილეობდნენ ერობიდან: პ. კუპინაძე, მ. ცეკვაშვილი და ის. სტურუა. ქალაქთა კავშირიდან: ნ. ელიაშვილი, არ. ჯაჯანაშვილი, დ. კალანდარიშვილი, მ. რუსია, ე. მადიდისონი და თელავის ქალაქის თავი ბ ნ ლანდია.

ირკვეოდა საკითხი ხსენებულ კავშირთა მოღვაწეობის ზოგიერთ მუხლებში გაერთიანების შესახებ.

ელაშვილმა შეიტანა წინადადება გაერთიანდეს კომიტეტები შემდეგ ნაწილებში: გამოიცეს სამართო ორგანო, სასურსათო მოღვაწეობა. მიგვარება მენდიკო-სანიტარულ საქმისა, კომუნალურ ბანკის დაარსება, გამოყენება ტყეების კონცერვიებისა.

ისეთა სახელმწიფონიც, რომლებიც ამ წესს არ ემორჩილებიან. მაგრამ ესენია გამონაკლისი და გამონაკლისი ამ შემთხვევაშიაც საერთო წესს ადასტურებს.

სახელმწიფოთა ცბრა შეათედში ერთნოვანი ოფიციალური სისტემა, ეს უჩვენებს არა მარტო იმას, რომ შესაძლებელია, ამ სისტემის ბატონობით იზარებოდეს ესა თუ ის ეროვნული უმცირესობა, არამედ ეს უჩვენებს აგრედვე სახელმწიფოებრივ აუცილებლობას და საჭიროებას. სხვა რომ არა იყოს რა სახელმწიფოში ერთნოვანობა პრაქტიკულ მიზანშეწონილებასაც წარმოადგენს.

მაგრამ დღევანდელმა პოლიტიკურმა ისტორიამ იცის ორენოვანი და სამენოვანი სახელმწიფონიც, თუცა მათი რიცხვი ძალიან მცირეა, შეიცვარა წარმოადგენს ამ მხრივ საკულტურული მხარე. იქ, კანფედერაციაში, სამი სახელმწიფო, სამი ნაციონალური და ოფიციალური ენა (კონტრატუციის 116 მუხლი): გერმანული, ფრანგული და იტალიური. ძალთა განწყობილება ეროვნებათა და კანტონთა შორის ისეთია შევიცარიაში, რომ კონსტიტუციულად არაგებს სამივე ენის უფლებრივ თანასწორობას მთელ სახელმწიფოში. ცხადია ამ ენების პრაქტიკული, რეალური მნიშვნელობა სხვა და სხვაა. ყველაზე უძლიერესი ამ მხრით გერმანული ენაა. ამ ენაზე ლაპარაკობს კანტონთა დიდი უმეტესობა. შემდეგ მიდის რიგით ფრანგული, რომელიც გაბატონებულია სამ კანტონში. იტალიური ენაზე მხოლოდ ერთი კანტონს ლაპარაკობს. მიუხედავად ამისა მათი უფლებრივი მდგომარეობა თანასწორობა: სამივე ენა ოფიციალურია, სამივე ენა სახელმწიფოთა. სამივე ენა, ასე ვთქვათ, კონფედერალურია.

არის კიდევ ერთი ენა, გაბატონებული ერთს კანტონში, რომელიც დიდი ხანია იბრძვის, რომ მეოთხე კონფედერალურ ენად გახდეს. ეს არის გრიზონის კანტონის ხალხის ენა—რომანული ანუ რომანში. მაგრამ ბრძოლის მიზანი ჯერ მიუღწეველია. არც არის იმედი რომ შევიცარიაში მეოთხე ოფიციალური ენა შემოვიდეს.

**3. საყვარელიძე.**  
(შემდეგი იქნება).

